2-8376/25
20-06-2025

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ არჩილ გორდულაძეს

ასლი: საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო
დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრების: არჩილ გორდულაძის, თორნიკე ჭეიშვილის, რატი იონათამიშვილის, ალუდა ღუდუშაურის, დავით მათიკაშვილის, თენგიზ შარმანაშვილის, ალექსანდრე ტაბატაძის, გურამ მაჭარაშვილისა და აკაკი ალადაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/67; 11.06.2025)

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2025 წლის 20 ივნისის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: არჩილ გორდულაძის, თორნიკე ჭეიშვილის, რატი იონათამიშვილის, ალუდა ღუდუშაურის, დავით მათიკაშვილის, თენგიზ შარმანაშვილის, ალექსანდრე ტაბატაძის, გურამ მაჭარაშვილისა და აკაკი ალადაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი

საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს კანონის პროექტი
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ

კანონპროექტით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ემატება სოციალური დაცვის ღონისძიება - საქართველოდან გასვლის აკრძალვა. აღნიშნული ღონისძიების არსი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს მოქალაქეს და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, ცალკეული დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში, დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებამდე, განსაზღვრული ვადით აეკრძალება საქართველოდან გასვლის უფლება.

კანონპროექტით განსაზღვრულია ის დანაშაულები, რომლებზეც შესაძლებელი იქნება შემოთავაზებული სოციალური დაცვის ღონისძიების გამოყენება და ამ ღონისძიების მოქმედების ვადები.

შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, სოციალური დაცვის ღონისძიება - საქართველოდან გასვლის აკრძალვა აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით.

საკანონმდებლო ინიციატივა ასევე ითვალისწინებს საქართველოდან გასვლის აკრძალვის მოხდისგან გათავისუფლების საფუძვლებს.

საქართველოს კანონის პროექტი
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ

კანონპროექტი დეტალურად არეგულირებს სოციალური დაცვის ღონისძიების - საქართველოდან გასვლის აკრძალვის გამოყენების წესებს.

კანონპროექტით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს ასევე ემატება ახალი საპროცესო ღონისძიება - დაყადაღებული ქონების განკარგვა, რომლის არსიც იმაში

მდგომარეობს, რომ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, პირს უფლება ექნება საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე მიმართოს პროკურორს და მოითხოვოს მისი დაყადაღებული ქონების ან მის დაყადაღებულ ანგარიშზე არსებული ფულადი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიზნობრივი განკარგვა. მხარეების თანხმობის შემთხვევაში, აღნიშნულ საკითხზე პროკურორს, ქონების მესაკუთრესა და მის ადვოკატს შორის წერილობითი ფორმით გაფორმდება შეთანხმება, რომელიც შემდგომ პროკურორის მიერ წარედგინება მოსამართლეს ქონების მიზნობრივი განკარგვის თაობაზე განჩინების გამოსატანად. პროექტით დეტალურადაა დარეგულირებული შემოთავაზებული საპროცესო ღონისძიების გამოყენების პროცედურები და აღნიშნულ პროცესში მონაწილე პირთა უფლებები.

კანონპროექტით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს ასევე ემატება ახალი თავი, რომელიც დეტალურად არეგულირებს დანაშაულის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ინიციატივის თანახმად, განსაზღვრულ დანაშაულებზე დაზარალებულისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოხდება გამარტივებული წესით, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში და აღარ იქნება აუცილებელი სამოქალაქო წესით სასამართლოსთვის მიმართვა.

საქართველოს კანონის პროექტი
„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებები გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებიდან, რომლის თანახმადაც განსაზღვრული დანაშაულების შედეგად დაზარალებულ პირს ენიჭება მიყენებული ქონებრივი ზიანის გამარტივებული წესით ანაზღაურების უფლებამოსილება. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში შემოთავაზებული ცვლილებებით გათვალისწინებულია, რომ მსგავს შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება მოხდება გამარტივებული სააღსრულებო წარმოების გზით და დეტალურად დარეგულირებულია აღნიშნული წარმოების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს კანონის პროექტი
„დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

კანონპროექტი დეტალურად არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით შემოთავაზებული ახალი სოციალური დაცვის ღონისძიების - საქართველოდან გასვლის აკრძალვის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

პროექტით შემოთავაზებულია, რომ სოციალური დაცვის ღონისძიების - საქართველოდან გასვლის აკრძალვის აღსრულებას განახორციელებს პრობაციის ბიურო მსჯავრდებულის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით. პროექტის თანახმად, აღნიშნული სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება აღსრულდეს ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით.

საქართველოს კანონის პროექტი
„საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

კანონპროექტით ახლებურად რეგულირდება ემიგრაციის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები, კერძოდ, შემოთავაზებული ცვლილების თანახმად, დაინტერესებულ პირს შეიძლება უარი ეთქვას ემიგრაციის ნებართვის გაცემაზე, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე, თუ მას შეფარდებული ექნება სოციალური დაცვის ღონისძიება - საქართველოდან გასვლის აკრძალვა.

კომიტეტის შეფასება

განიხილა რა წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა, კომიტეტმა აღნიშნა, რომ შემოთავაზებული ცვლილებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობას და ხელს შეუწყობს დანაშაულის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფრო სამართლიანი და ეფექტიანი მექანიზმების შექმნას.

კომიტეტმა ასევე ყურადღება გაამახვილა სოციალური დაცვის ახალი ღონისძიების - საქართველოდან გასვლის აკრძალვის შემოღებაზე და მიიჩნია, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მნიშვნელოვანია სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფა ერთი მხრივ დაზარალებულის უფლებების აღდგენის ინტერესსა და მეორე მხრივ მსჯავრდებულის მიმოსვლის თავისუფლების რეალიზებას შორის. კომიტეტმა მიიჩნია, რომ შემოთავაზებული ცვლილებები, რომლებიც სოციალური დაცვის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მხოლოდ მსჯავრდებულის მიმართ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მიყენებული ზიანის ოდენობის მხედველობაში მიღებით, გამოყენებული ღონისძიების ვადამდე შეწყვეტისა და გადასინჯვის მექანიზმების

გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ზემოთმითითებულ დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის პოვნის შესაძლებლობას.

იმავდროულად, კომიტეტმა აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის შემდგომ ეტაპებზე უნდა გაგრძელდეს მსჯელობა შემოთავაზებული სოციალური დაცვისა და საპროცესო ღონისძიებების აღსრულების მექანიზმების დახვეწის მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომიტეტმა დადებითად შეაფასა შემოთავაზებული ცვლილებები და მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის წევრების: არჩილ გორდულაძის, თორნიკე ჭეიშვილის, რატი იონათამიშვილის, ალუდა ღუდუშაურის, დავით მათიკაშვილის, თენგიზ შარმანაშვილის, ალექსანდრე ტაბატაძის, გურამ მაჭარაშვილისა და აკაკი ალადაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებს: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
რატი იონათამიშვილი